ხელშეკრულება მომსახურებაზე №29

ქ.თბილისი 5 ივნისი 2017 წელი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ინსტიტუტი „ოპტიკა“ წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი ავალიანის სახით, შემდგომში «დამკვეთად» წოდებული, და მეორეს მხრივ **შპს "დასაქმების სააგენტო ეიჩარი"**, წარმოდგენილი **გიორგი კიკნაძეს** სახით, შემდგომში **«შემსრულებლად»** წოდებული, შევთანხმდით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. «დამკვეთი» ავალებს, ხოლო «შემსრულებელი» იღებს ვალდებულებას "დამკვეთს" გაუწიოს შემდეგი სახის მომსახურება: განათავსოს მის კუთვნილ ვებ-გვერდზე (www.hr.ge) განცხადებები სარეკლამო გაფორმებით (აქ იგულისხმება მხოლოდ და მხოლოდ "დამკვეთის" მიერ მიწოდებული და მოწონებული სარეკლამო საშუალებები). **(CPV- 92400000)**

1.2. შემსრულებელი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ ხელშეკრულებაში, მაგრამ აუცილებელია დამკვეთის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

2. მხარეთა უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა

2.1. "შემსრულებელი" ვალდებულია:

2.1.1. უზრუნველყოს ვებ-გვერდის გამართული მუშაობა ხელშეკრულების

ვადაში.

2.1.2. გამოუყოს დამკვეთს განცხადებებისათვის შესაბამისი ადგილები, მის მიერ მოწოდებული განცხადებების განსათავსებლად შესაბამის მოდულში.

2.1.3. გავრცელდეს განცხადება დამატებითი არხების საშუალებით

2.1.4. განათავსოს მის კუთვნილ ვებ-გვერდზე (www.hr.ge) განცხადებები

2.2. "შემსრულებელი" უფლებამოსილია:

2.2.1. მოთხოვოს «დამკვეთს» შეთანხმებული საზღაურის გადახდა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების მიხედვით;

2.2.2. მოითხოვოს «დამკვეთი»_ს ბრალეული ქმედების შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება;

2.2.3. «დამკვეთი»_ს მიერ, სამუშაოს დასრულებამდე ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოითხოვოს მისგან მხოლოდ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ფაქტობრივი ზარალი.

2.3.. «დამკვეთი" უფლებამოსილია:

2.3.1. მოსთხოვოს «შემსრულებელს» შესაბამისი სამუშაოს დროული, ხარისხიანი და კვალიფიციური შესრულება.

2.3.2. არ აუნაზღაუროს `შემსრულებელს~ უკანასკნელის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედების ვადაზე ადრე ხელშეკრულების საგნით განსაზღვრულ მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

2.3.3. მოითხოვოს `შემსრულებლის~ ბრალეული ქმედების შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება;

2.3.4. ორივე მხარე ვალდებულია მკაცრად დაიცვას წინამდებარე

25%-იანი ფასდაკლების გათვალისწინებით	www.cv.ge
ვიაპი	52.5 ლარი
ექსკლუზიური მოდული	37.5 ლარი
4xP სტანდარტი	22.5 ლარი
2xP სტანდარტი	15 ლარი
სტანდარტი	7.5 ლარი

3.2. გადახდის ვადა არის ინვოისის მიღებიდან ერთი კვირის ვადაში (მთლიანი ინვოისი გაიგზავნება თვის ბოლოს)

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის ივნისის ჩათვლით.

5. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

5.1. ამ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული, მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულება ან კანონით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

6. პრეტენზიები

6.1. ორმხრივი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, მხარეებს შეუძლიათ კომბინირებულად გამოიყენონ ზემო-აღნიშნული პირობები ან სხვაგვარად

მოაგვარონ პრობლემა.

6.2. ორივე მხარე უფლებამოსილია, წაუყენოს მეორე მხარეს პრეტენზია. პრეტენზია მხარეს წარედგინება წერილობითი ფორმით, რომელშიც მოცემული იქნება პრეტენზიის არსი და მხარის მოთხოვნა, გამომდინარე ამ პრეტენზიიდან.

7. დავების გადაწყვეტა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე საკითხების მოწესრიგება, დამატებით ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

7.2. ყველა სადავო საკითხი, რომელიც მხარეთა შორის ვერ გადაწყდება, ურთიერთ-მოლაპარაკების საფუძველზე, განიხილება საარბიტრაჟო სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. საერთო პირობები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი - "დამკვეთისთვის", ერთი – "შემსრულებლისთვის"), ამასთან ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ.

8.3. ნებისმიერი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ.

8.4. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით, დამატებით რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

8.5. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არადროული

შესრულებისათვის თუ აღნიშნული გამოწვეული იქნება ფორს-მაჟორული ვითარებით

8.6. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორულ ვითარებად მიიჩნევა გარემოება, რომელიც "დამკვეთის" ან "შემსრულებლის" კონტროლის ფარგლებს სცილდება, და რომლის დადგომაც ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის და მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: ომით, ამბოხებით, სამოქალაქო არეულობით, მიწისძვრით, ხანძრით, აფეთქებით, ქარიშხლით, წყალდიდობით ან სხვა სტიქიური უბედურებით, კონფისკაციით ან სახელმწიფო დაწესებულებების სხვა მსგავსი მოქმედებით.

8.7. მხარე, რომელსაც ფორს-მაჟორული ვითარება შეეხო, უმოკლეს ვადაში, მაგრამ ამგვარი გარემოებების დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს ამ ვითარების თაობაზე მტკიცებულების, ვითარების ხასიათის და მისი დადგომის მიზეზის აღწერით და შესაბამისად უმოკლეს ვადაში შეატყობინებს მეორე მხარეს ნორმალური პირობების აღდგენის შესახებ.

8.8. წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებებს.

9. მხარეთა იურიდიული მისამართები

"შემსრულებელი"

შპს "დასაქმების სააგენტო ეიჩარი

მისამართი – თოფურიას ქ.12

ს/კ – 204554259

საბანკო რეკვიზიტები: TBCBGE22

ანგარიშის ნომერი: (GEL):

GE04TB359313602010

აღმასრულებელი დირექტორი

გიორგი კიკნაძე

"დამკვეთი"

სსიპ – ინსტიტუტი "ოპტიკა"

მისამართი: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1

ტელ/ფაქსი: 365008/337821

საიდენტიფიკაციო კოდი № 211367279

საბანკო რეკვიზიტები:

სახელმწიფო ხაზინა

საბანკო კოდი 220101222

ანგარიშსწორების ანგარიში № 200122900

დირექტორი

ირაკლი აბაღიანი